ხელშეკრულება N16

მომსახურების შესახებ

22.04.2014წ.

ერთის მხრივ ინდ. მეწარმე „ნუგზარ ბერიძე" (შემდგომში შემსრულებელი) მისი ხელმძღვანელი: ნუგზარ ბერიძე და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლა, დირექტორი: ვაჟა კუცია, (შემდგომში დამკვეთი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები: შეადგინოს დამკვეთის ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების საკადასტრო აზომვითი ნახაზები. (ელ.ვერსია) (CPV 71300000)

1.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 160 ლარს.

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება დამკვეთზე შესრულებული სამუშაოს ჩაბარებისთანავე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან).

2.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.1.1 მოსთხოვოს დამკვეთს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.1.2 მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან.

4.2 შემსრულებელი ვალდებულია:

4.2.1 დამკვეთის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დამკვეთს ინფორმაცია შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოს შესახებ.

4.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3 დამკვეთი ვალდებულია:

4.3.1 აუნაზღაუროს შემსრულებელს სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

4.3 დამკვეთი უფლებამოსილია:

4.4.1 მოსთხოვოს შემსრულებელს შესრულებულ სამუშაოში აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

4.4.2 არ ჩაიბაროს ნაკლის მქონე სამუშაო.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
6.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სხვა პირობები

7.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
7.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
7.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:

ინდივიდუალური მეწარმე

ნუგზარ ბერიძე

მის: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ.№6
ს/ს „ბანკი რესპუბლიკა", სამტრედ. ფილიალი

ბანკის BIC კოდი: REPLGE22

ა/ა №GE55BR0000010457738500
ს/კოდი: 37001011698

ინდივიდუალური
მეწარმე

დამკვეთი:

ს.ს.ი.პ ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის
სოფ. საჯავახოს საჯარო სკოლა

დირექტორი:
ვაჟა კუცია

მის: ქ. სამტრედია, სოფ. საჯავახო
ს/ს „ლიბერთი ბანკი", სამტრედ. ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა: GE64LB0121117205566000
ს/კოდი: 238762763

დირექტორი

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. სამტრედია

07.05.2014 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ს.ს.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლა, დირექტორი: ვაჟა კუცია და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „ნუგზარ ბერიძე" –ხელმძღვანელი ნუგზარ ბერიძე, ვადგენთ ქვემდებარე აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 22 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე ინდ. მეწარმე „ნუგზარ ბერიძე"-ს მიერ შედგენილი და მიწოდებული იქნა: .სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. საჯავახოს საჯარო სკოლის მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საკადასტრო და შიდა აზომვითი ნახაზები. (ელ. ვერსია).

აქტი სწორია და შედგენილია ჩვენს მიერ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

„ჩაიბარა"

/ ვ. კუცია /

„ჩააბარა"

/ ნ. ბერიძე /